გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში - მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი"-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით" მე-4 მუხლით ვაკანსიის შესაბამისად.

3. კონკურსი ცხადდება შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობების დასაკავებლად:

ა) დედამიწის ფიზიკისა და გეომაგნეტიზმის სექტორის ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი -1 საშტატო ერთეული 7 წლის ვადით).

ბ) კოსმოფიზიკური ობსერვატორიის ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი -1 საშტატო ერთეული 10 წლის ვადით).

გ) დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიის ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი -1 საშტატო ერთეული 7 წლის ვადით).

4. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს:

4.1.მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის (არჩევის ვადა - 10 წელი) ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის (არჩევის ვადა - 7 წელი) დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა)მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, 2 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით. (ვაკანსიის პროფილის შესაბამისად).

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 7 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო

თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით. (ვაკანსიის პროფილის შესაბამისად).

გ) მთავარი **მეცნიერი თანამშრომლის** და **უფროსი მეცნიერი თანამშრომლის** და თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესითა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით.

4.2.კანდიდატს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) ან წარმომადგენლობით აკადემიურ ორგანოშიმუშაობის გამოცდილება.

5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

5.1.კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს შესაბამის საკონკურსო კომისიას.
5.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, საკონკურსო კომისიას წარუდგინოს განცხადება (დადგენილების დანართი N2) კონკურსში მონაწილეობის შესახებ (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილი იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო თანამდებობაზე).
5.3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, წარდგენილ განცხადებას დაურთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი) ასლი;
დ)სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით და არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ);
ე) ცნობა - სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.
5.4. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.
5.5. საკონკურსო კომისია ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეობის მსურველს ეძლევა განაცხადის განმეორებით წარმოდგენის ვადა, მაგრამ არაუმეტეს საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საკონკურსო განცხადებების /დოკუმენტაციის/ მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღისა.

5.6. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ 5.5. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.
5.7 სექტორის/ობსერვატორიის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულების პროექტი, სადაც მოცემული იქნება თსუ-ს მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე სექტორის/ობსერვატორიის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული ხედვა.

6. კონკურსი გამოცხადდეს 2025 წლის 10 ივნისს საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2025 წლის 23 ივნისიდან 2025 წლის 27 ივნისის ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საა-თამდე, ინსტიტუტის კანცელარიაში, თბილისი, მ. ალექსიძის ქ N1, მე-2 სართული (კანცელარია).

7. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეული პირი ითვლება არჩეულად ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 10 წლის ვადით, ხოლო უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 7 წლის ვადით.

პატივისცემით,

ინსტიტუტის დირექტორი
ნოდარ ვარამაშვილი